ხუთშაბათი, 4 მარტი 1910 წ. № 24

# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ [illegible] მან. ნახევარი წლით 4 მან. [illegible] თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ. [illegible]

განცხადებების ფასი: [illegible] 15 კაპ. [illegible]

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან— 40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისში და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., [illegible] ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: [illegible]

რედაქციის ადრესი: [illegible] ქუჩა № 3. [illegible]

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

უზომოთ დამწუხრებულნი მამა დავითი, დედა [illegible] ელენე, მარია, პელაგია, მატრონა, მარგარიტა, ეკატერინა, სონა და თამარა დუმბაძეები აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს

სტუდენტ გიორგი დუმბაძის

ტრაგიკულ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება პარასკევს, 5 მარტს, ორ საათზე შემოქმედის მონასტრის გალავანში

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ.

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

ძმ. პასხალიდების

აბრეშუმის თესლი

წელს აქვთ მინდობილი გასაყიდათ შემდეგ ფირმებს:

**ბათუმში:** მ. ს. მანუილიდს ზღვისპირს ქუჩაზე., ამხანაგობა „იმედს" მიხაილოვის ქუჩაზე., და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში:** პორფილე ქეიშვილს. **ხონში:** ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას. **სოფელ კუხში ქუთაისში:** კონსტ. ოქ-ძე მელაშვილს. **ახალსენაკში:** ა. ბ. ჩაჩიბაიასთან.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძმ. პასხალიდების" მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით

კავკასიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების" ფირმისა

მ. ს. მ ა ნ უ ი ლ ი დ ი. (12—1)

ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

სახალხო უნივერსიტეტი.

შაბათს, 6 მარტს, 1910 წელს დოქტორი ბ. ვ. სოგოლევსკი წაიკითხავს ლექციას

სუდანი და კონგო

(ჩემი შთაბეჭდილებანი ცენტრალურ აფრიკაში მოგზაურობიდან). დაწვრილებით აფიშებში.

**დასაწყისი საღამოს 8 ს.** ფასები ძლიერ დაკლებულია. **მოწაფეთათვის 40 კ.**

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

„სოტირ იადის" (ბაღდადის)

აბრეშუმის თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათი მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—1)

გამოვიდა ახალი პაპიროსები

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

„ИВАН да МАРЬЯ"

25 ცალი 30 კაპ., 25 კაპ., 15 კაპ.

10 ცალი 10 კაპეიკი და 6 კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

შვილებით 0—7

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს. კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის [illegible] № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვე[illegible] დალმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—10)

## სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

2 მარტი.

თავმჯდომარეობს შიდლოვსკი. განაგრძობენ სატუსაღოების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათს. სატუსაღოთა მთავარ გამგეობის უფროსი პასუხს აძლევს წინა ორატორებს და აცხადებს, რომ კატორგის რეფორმის შესახებ კანონ-პროექტს იმუშავებენ და ახლო მომავალში წარადგენენ დუმაში. ს.-დემოკრატების და კადეტების საპასუხოთ ამბობს, რომ მან თვით ინახულა ამ ზაფხულ ციმბირის კატორღა და იქ ყველაფერი რიგზეა და არავითარ შევიწროებას და საშიშროებას ადგილი არ ქონია.

დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით.

**საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

დუმა გადადის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაზე.

**კრუპენსკი** მოხსენებას აკეთებს, რომ სამინისტროს გამოანგარიშებით საჭიროა 6,172,970 მან. გასულ წელზე 40,000 მანეთით ნაკლები, კომისია უმატებს ამას 3,587 მანეთს საზღვარ-გარეთ დიპლომატიურ და საელჩო დაწესებულებების შესანახათ. ეს ზედმეტი თანხა უნდა მოხმარდეს ლონდონის და სტოკჰოლმის გენერალურ საელჩოს ფინურ და შვედურ ენების მთარგმნელებს. კომისია წინადადებას იძლევა შეიტანონ ეს ხარჯთ-აღრიცხვაში. სამინისტროს შესანახ ხარჯებში ფინლიანდიის მონაწილეობაზე კომისიამ მსჯელობა იქონია, მაგრამ საჭიროთ ვერ სცნო მისი თავის მხრით წამოყენება. ეს უნდა მოხდეს დუმის საზოგადო კრებაზე.

**საგარეო საქმეთა მინისტრი** აცხადებს, რომ მან შესაძლებლათ ვერ სცნო აელო ნებართვა ხელმწიფე იმპერატორისაგან საგარეო პოლიტიკის შესახებ კითხვების განსამარტავათ, ის შეეხება მხოლოდ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ კითხვებს. ის ამბობს, რომ სამინისტროს საზღვარ-გარეთის დაწესებულებების შტატის პროექტი შემუშავებულია და ადრე განიხილავს მინისტრთა საბჭო. საზოგადოთ სამინისტრო ეცდება ფართო რეორგანიზაცია მოახდინოს ამ დაწესებულებებში. საგარეო საქმეთა ხარჯებში ფინლიანდიის მონაწილეობის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ამ კითხვას საზოგადო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს. ის განიხილა საგანგებო კომისიამ და წარუდგინა მინისტრთა საბჭოს. ეხლა ამ კითხვის შესახებ შეიმუშავებენ კანონ-პროექტს და ახლო მომავალში წარუდგენენ დუმას.

**მილიუკოვი** ლაპარაკობს ორ საათს. მწუხარებით იხსენიებს წარსულ ამბებს, რომლის განმეორება მოსალოდნელათ მიაჩნია. იზვოლსკის პოლიტიკის დამარცხების მიზეზათ ორატორს მიაჩნია ის, რომ მისი პოლიტიკა პირადია და მიზანი გამოურკვეველი. ჩვენი პოლიტიკა წარმოადგენს არა თანდათანობითი სისტემას, არამედ ინდივიდუალურ ნაბიჯებს და ლამაზ ჟესტებს, რომლებსაც თან დასდევს ულამაზო უკან დახევა. ორატორი ეხება შორეულ აღმოსავლეთის საქმეებს, სვინემიუნდენში შეხვედრიდან დაწყებული და ათავებს 1909 წელს თებერვალში და მარტში მომხდარ ოთხი დიპლომატიური აქტით. მილიუკოვი აღნიშნავს, რომ იზვოლსკი სავსებით დაენდო ერენტალს, რომელიც ბოლოს ბოროტი მეგობარი გამოდგა. ორატორი ისტორიულ ანდაზებს აკეთებს და ბოლოს ჩერდება მაკედონიაზე: „აი ბარომეტრი, რომელიც ქარიშხალს უჩვენებს". ის ეხება ამერიკის წინადადებას მანჯურიის რკინის გზის ნეიტრალიზაციის შესახებ და ამბობს, რომ იაპონიასთან ერთათ ჩინეთის წინააღმდეგ ჩვენი წასვლა ხელსაყრელი არ არის. ჩვენი პოლიტიკა სხვა გვარი უნდა იყოს შორეულ აღმოსავლეთში, ვიდრე ის ამდენ ხანს იყო. (მარცხნით ტაშის ცემა. მარჯვნით სტვენა).

**კრუპენსკი** როგორც მომხსენებელი ამბობს, რომ ის უტაქტობათ სთვლის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ კამათს. თავმჯდომარე აცხადებს, რომ შენიშვნის მიცემის და გაჩერების უფლება მხოლოდ მას ეკუთვნის.

**პურიშკევიჩი** ეკამათება მინისტრს, რა დამოკიდებულებას აქვს სამინისტროსთან ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულების წარმომადგენელთა ვიზიტებს საზღვარგარეთ და საზღვარგარეთლებს ჩვენში. ასეთ სტუმრების ოფიციალურათ მიღება არა სასურველია. რადგან ასეთ სტუმრობას რუსეთში კონსტიტუციონურ იდეების განმტკიცების ხასიათი აქვს. მონარქიული ორგანიზაციები შემდეგში ამის ნებას არ მისცემენ. აფრთხილებენ მინისტრს და დუმის წევრებს, რომ უკეთუ ასეთი სტუმრობას კიდევ განმეორდა დეპეშებით პროტესტს განუცხადებენ საზღვარგარეთის მთავრობა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედება კოსმოპოლიტურ ნიადაგზე სწარმოებს. მოსამსახურეებათ „ინოროდცები" არიან. თუ ჩვენ დიპლომატებს არ შეუძლიათ იყვენ ბისმარკები, მეტერნიხები და კავურები— ამბობს დასასრულ ორატორი, იმდენი რუსული გამჭრიახობა მაინც გამოიჩინონ, რომ შემდეგში თავიდან აიცილონ შეცდომები (მარჯვნით ტაშის ცემა).

**პოკროვსკი** მე-2 კიცხავს-რა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას შორეულ-აღმოსავლეთში და სპარსეთში ამბობს, რომ ჩინეთში და ახლო აღმოსავლეთში მთავრობა მტაცებლობის პოლიტიკას ადგია. ორატორის სიტყვით რუსეთის აგრესიულ და ბრძოლით მოპოების პოლიტიკას ბოლო ელება: ამის მაგალითია მთავრობის მოქმედება სპარსეთში. ადგილობრივი პოლიტიკის დამარცხებას ორატორი მთავრობისადმი ხალხის უნდობლობას აწერს. ის ეხება მთავრობის პოლიტიკას ფინლიანდიაში და მეტის მეტათ დამარცხებულათ მიაჩნია ის.

დასასრულ ეფრემოვი პროგრესისტების და მილიუკოვი კადეტების სახელით აცხადებენ, რომ კრუპენსკის წინადადების, ფინლიანდიის შესახებ, წინააღმდეგ მისცემენ ხმას. პეტროვი მე-3 აცხადებს შრომის ჯგუფის სახელით, რომ ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით. შემდეგი სხდომა 3 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** რაზმის უფროსის აფიცრების და სალდათების თანადასწრებით თავრიზში დახოცილ სალდათთა საფლავზე სამლოცველოს საძირკვლები ჩაყარეს.

**ოსმალეთი**

**სალონიკი.** სპეციალური მატარებლით ადრიანოპოლში და კონსტანტინოპოლში გაიგზავნა 1800 ახალი სალდათი, უმთავრესათ ბულგარელები, აგრეთვე 100 ებრაელი. სადგურზე გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს აფიცრებმა და სალდათებმა.

**სტამბოლი.** ფერდინანდს 9 მარტს მოელიან. მას თან ახლავს მალინოვი. მეფე აქ დაჰყოფს ხუთ დღეს.

გერმანიის სამხედრო აგენტმა კაუტცის რიშიდ-ბეისთან დუელში გასვლაზე უარის თქმა სამართლიანათ სცნო.

**საზღვარ-გარეთ**

**ლონდონი.** სათემო პალატა. მაკკენამ შეიტანა სიზღვაო დაწესებულების ბიუჯეტი. პროექტში არაფერი არ არის გადამეტებული. 1912 წლის მარტში ინგლისს ექნება ოცი „დრედნოუტი". 1912 წლის განმავლობაში ინგლისს ახალ ტიპების გემებით პირველობა ექნება. გარდა ამისა არის ძველი ტიპის მრავალი გემები. ბრიტანიის ფლოტი ორი სხვა სახელმწიფოს შეერთებულ ფლოტს სჭარბობს. მაკკენი მწუხარებას აცხადებს, რომ შეუძლებელია ბიუჯეტის შემცირება. სიფრთხილისთვის ინგლისი ეხლა ხუთ დიდ ჯავშნიან გემს აშენებს.

**ლორდთა პალატა.** ზედა პალატის რეფორმის შესახებ როზბერიმ ორი პრინციპი წამოაყენა: მემკვიდრეობის პრინციპის გაუქმება და არჩევნების შემოღება, მაგრამ არა ხალხის მიერ, არამედ ქალაქის კორპორაციების და საგრაფო საბჭოების მიერ. დასასრულ როზბერიმ მიმართა პალატას და მოუწოდა დაიცვას ქვეყანა და იმედი განაცხადა, რომ ლორდები კონსტიტუციის საზღვრებში დარჩებიან.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. დილის სხდომა. თავმჯდომარის განკარგულებით სხდომაზე ქალები არ შეუშვეს. ტარნოვსკაია განაგრძობს თავის ამბავს, როგორ მოგზაურობდა პრილიუკოვთან ერთათ, ირწმუნება, რომ მან არ იცოდა თუ ის ფულები, რომლებსაც პრილიუკოვი ხარჯავდა, მისი კლიენტების იყო, რომ ის მუდამ ურჩევდა მას დაბრუნებულიყო ოჯახში. 1907 წლის 7 მაისს, როცა ის კომაროვსკისთან ერთათ პეტერბურგში მივიდა გაეცნო ნაუმოვს. ერთხელ მისი თანადასწრებით კომაროვსკიმ და ნაუმოვმა ლაპარაკი ჩამოაგდეს მაზოხიზმზე. ტარნოვსკაია ვერ მიხვდა ამ სიტყვის მნიშვნელობას და სთხოვა ნაუმოვს აეხსნა. ნაუმოვმა აუხსნა, მაზოხიზმი არის ის, რომ საყვარელ ქალის გულისთვის ადამიანს შეუძლია ყოველივე ტანჯვა აიტანოს და იქვე წინადადება მისცა დაექრო პაპიროსი მის ხელზე. იმათ გაუკეთეს ერთმანეთ ტატუიროვკა. ამის ინიციატივა ნაუმოვის იყო. კითხულობენ ნაუმოვის აღგზნებულ წერილებს ტარნოვსკაიასადმი. სხდომა იხურება.

**ვენა.** ქრისტიანულ-სოციალისტთა პარტიამ თავის ბელადათ გამოაცხადა თავადი ალოიზა ლიხტენშტეინი.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მიიღო ს. დემოკრატების რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვდენ კანცლერის პასუხისმგებლობას რეიხსტაგის წინაშე. პასუხისმგებლობა ვრცელდება იმპერატორის ყველა პოლიტიკურ აქტზე. მიიღეს რეზოლიუცია პარლამენტთა შორის კავშირის დახმარების შესახებ.

**ლისსაბონი.** დაიღუპა აზოვის კუნძულებთან შლიუპკა. დაიხრჩო 33 კაცი.

**კილი.** საარჩევნო რეფორმის საპროტესტოთ მრავალი მუშა სამუშაოზე არ გამოცხადდა. სამუშაოს მიმცემთა კავშირმა დაადგინა სამი დღით დაითხოვონ ის მუშები, რომლებიც არ გამოცხადდებიან სამუშაოზე. მოხდა შეტაკება პოლიციას და დემონსტრანტებს შორის. დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი. დაშავდა რამდენიმე დემონსტრანტი.

**რუსეთი.**

**ბაქო.** ბალაევის საქმე, რომელსაც ბაქოს სათევზო გამგეობის უფროს პუშკარევის მოკვლის განზრახვას აბრალებენ, გადაიდო, რადგან დამნაშავეს სიგიჟის ნიშნები გამოაჩნდა სასამართლოში.

**ვარშავა.** ყაჩაღთა ბრბო თავს დაესხა გამვლელთ და ძარცვა-გლეჯა დაიწყო. მოხდა დარაჯებთან შეტაკება. სროლის დროს მოკლეს ერთი ყაჩაღი.

**ჰელსინგფორსი.** კონსტიტუციონალურმა პარტიამ დღეს სეიმის კანცელა-

რიაში შეიტანა პეტიცია ფინლიანდიის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

**პოლტავა.** ოთხმა ბოროტ-განმზრახველმა მოინდომა დრაბოვსკის ფოსტის განყოფილების გაძარცვა, მაგრამ წინააღმდეგობა გაუწიეს. სროლის დროს დაიჭრა სტოროჟი და ერთი ბოროტ-მოქმედი. ფულები გადარჩა. ბოროტ-მოქმედნი გაიქცენ.

**ჰელსინგფორსი.** ს-დემოკრატებმა და სტაროფინებმა ორი პეტიცია წარადგინეს სეიმში ფინლიანდიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. პეტიციით პროტესტს აცხადებენ უკანასკნელ წლების უკანონობის შესახებ.

**ბაქო.** ლენქორანის მაზრაში ჩუნპაშის მცხოვრებმა საფარიდან სროლა აუტეხა მოსაზღვრე დარაჯს. მას სროლითვე გასცეს პასუხი. მსროლელი მოკლეს.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**ამსტერდამი.** იავაში ხოლერა თანდათან ვრცელდება. დღეში 40 კაცი ხდება ავათ.

## ადგილობრივი კითხვები სახელმწიფო დუმაში.

ჩვენ ამას წინეთ ვწერდით: მივიღეთ რა პარნაუთელი გლეხებისგან ტელეგრამა მათი აწიოკების შესახებ, მივიქეცით გადასახლების გამგეობის უფროსის გლინკასადმი და ვსთხოვეთ აეხსნა რაში იყო საქმე.

ტელეგრამამ ბ. გლინკა ვითომ დამეტათ გააკვირვა: არ მჯერა არაფრისთვის ასეთი ამბავი. შეუძლებელია ასე უმიზეზოთ და უსაბაბოთ 400 სული გლეხი ადმინისტრაციას გაერეკოს დასახლებული ადგილიდან. ყოველ შემთხვევაში, ეხლავ ტელეგრამით შევეკითხები არქიპოს და პასუხს დაუყოვნებლივ შეგატყობინებთო. გავიდა ხანი და მართლაც, ბ. გლინკასაგან მოგვივიდა წერილი და ასლი ბ. არქიპოვის დეპეშისა. მოგვყავს ორივე საბუთი:

**სახელმწიფო დუმის წევრს ნ. ს. ჩხეიძეს.**

მოწყალეო ხელმწიფევ,
ნიკოლოზ სვიმონისძევ!

თქვენ გვთხოვდით გაგვეგო, თუ რა მიზეზით გადაასახლეს 400 სული მცხოვრები სოხუმის ტყეებში მდებარე კუნაუსკის სააგარაკო ადგილებიდან. ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს მიწათ მოქმედებისა და მიწათ-გამწესრიგებელ მთავარ-გამგის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილი დეპეშის ასლი ამასთანავე გაახლოთ, საიდანაც სჩანს, რომ ის პირნი, რომელთაც თქვენ თხოვნით მოგმართეს, ქალაქ სოხუმის ოლქის პარნაუსის აგარაკის ცხოვრებიდან იყვნენ და არა კუნაუსკის ტყეების სააგარაკო მიდამოისა, რომელნიც სატყეო დეპარტამენტის ცნობებით, სოხუმის ოლქში არც კი არსებობს.

გადასახლების მთავარ სამმართველოს უფროსი.

№ 2530

31 იანვარი, 1910 წ.

**კავკასიის მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მომწესრიგებელ მთავარ გამგის რწმუნებულის მიერ თფილისიდან 24 იანვარს, 1910 წ. გამოგზავნილი დეპეშის ასლი.**

სოხუმის ოლქში ზღვის ნაპირას მდებარე ადგილებ შორის პარნაუსკის ტყეების საგარაკო ადგილები ერთათ-ერთ სათადარიგო მიწებათ ითვლება, სადაც შეიძლება მეურნეობა წარმოებდეს. ხსენებული მიდამო დანიშნული იყო იმ ჩამოსულ მცხოვრებთათვის, რომელნიც სოხუმის ოლქში 1879—1898 წლის განმავლობაში დაფუძნდენ და დღემდე მიწის სიმცირეს გრძნობენ, ჯერ კიდევ მოუწყობელნი არიან. 1906 წ. ეს საგარაკო მიწები მოიჯარადრეებიდან სრულიად თავისუფალი იყო. 1907 წ. რამდენიმე მეგრელის ოჯახმა ერთის წლის ვადით იჯარით აიღო ხსენებული აგარაკის ყველა სათესი მიწები და სიმინდი დათესეს. იჯარის ვადა შემდეგ წელშიც გაგრძელდა. 1909 წელს იჯარა შეწყვიტეს, რადგან ჩამოსულ მცხოვრებთა შორის ამ საგარაკო მიწების განაწილება უნდა მოეხდინათ. მოიჯარადრე მეგრელებს კი ადგილიდან აბარგება და წასვლა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებით გადაგასახლებთო. მიწები არ გაუნაწილებიათ, რადგან ამ დროს მოსაზღვრე მიწათ-მფლობელთა საზღვრების გასინჯვა მოხდა. ნამესტნიკის განკარგულებით მოიჯარადრე 19 მეგრელის ოჯახს ნება მიეცა დარჩენილიყო იქვე მოსავლის შეგროვებამდე, მხოლოდ იმ ხელწერილობითი პირობით, რომ მოსავლის მოგროვებისათანავე, სექტემბერში, აგარაკს დაუყოვნებლივ დასტოვებდენ. ხელწერილის მიცემაზე მოიჯარადრენი არ დასთანხმდენ და აგარაკიდან თავის ნებით არ წავიდენ. ამ დროს მათთან დასახლდა კიდევ სხვა 30 ოჯახი, რომელთაც სახაზინო მიწები ძალით ჩაიგდეს ხელში. ტყის დარაჯთა სიცოტავის გამო ტყის დამცველებს ძალა არ შესწევდათ იმათთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ამას მოყვა ნამესტნიკის განკარგულებაც, რომლის ძალით პოლიციური ზომებით უნდა გადაესახლებიათ აგარაკიდან მიწების ძალით ხელში ჩამგდებნი და უოფილი მოიჯარადრენიც. მოძალადეებს და მოიჯარადრეებს არავითარი კულტურა არ ქონიათ.

ხელს აწერს **არქიპოვი.**

ამ დეპეშებიდან დაინახავთ, რომ იურიდიულათ მთავრობა ვითომდა მართალია.

თუ ამ ცნობებს დაემყარებით, პირში წყალი უნდა ჩაიყენოთ და გაჩუმდეთ. ამ რიგათ ფორმალური გზა მოგვიჭრეს, რომ „მთელი განგაში ავტეხოთ“ როგორც ამას წინეთ გაზეთი „დროება“ გვისაყვედურებდა ბ. ნ. ვთადგირიძის პირით.

მაგრამ მარტო ფორმალურ, იურიდიულ მხარეს ჩვენ ვერ გამოვეკიდებით. იურიდიულ „კრიუჩოკებს“ ანუ ხრიკებს თუ დაემყარეთ, რუსეთში ხმას ვერ ამოიღებთ. რუსეთის კანონები, ვგონებთ, თექვსმეტ ტომს შეიცავს. ახლა ამას მიუმატეთ სენატის „რაზიასნენიები“ და დადგენილებები და დამეთანხმებით, რომ ამ კანონების ძალით ვერც ისე ადვილათ დაამტკიცებთ. თუ ამ საუკუნის კანონით ვერ მოგიჭრეს სამართლის გზა, იმ საუკუნისაში მოძებნიან ხრიკს და ასე ამ რიგათ.

დუმაში შეკითხვის გასაყვანათ, როგორც იცით, საჭიროა იურიდიულის მხრით შეკითხვის დასაბუთება. მაგრამ, ვიმეორებთ, თუ ამ მხარეს გამოვეკიდეთ, ათასში ერთჯერ შეკითხვას ვერ შეიტანთ.

ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საქმის შინაარს, მის წარსულს და აწმყოს, მთავრობის საზოგადო ტაქტიკას და პრაქტიკას ამა თუ იმ საქმეში.

როგორც ზემოთ მოყვანილი დეპეშებიდან დაინახავთ, საჭიროა ვიცოდეთ:

1) რამდენათ მართალია, თითქო სოხუმის ოლქში ზღვის პირათ პარნაუთის ტყის აგარაკი ერთად ერთი ადგილია, რომელიც ვარგა სამიწათ-მოქმედო მეურნეობისთვის?

2) ვინაა ეს „პრიშლოე ნასელენიე“, რომელიც აქვე მეზობლათ დასახლებულა, ვისგან შესდგება ეს მცხოვრებლები, როდის გადმოსახლდენ აქ, ვინ გადმოასახლა, რა პირობით, რა მიწაზე სახლობენ, რამდენი მიწა აქვთ ახლა, რას მუშაობენ, როგორია მათი ნივთიერი მდგომარეობა, ვის ეკუთვნოდა ის მიწები, რომელნიც დღეს მათ ხელშია, სად წავიდენ ან რა ბედი ეწიათ მათ, ვინც აქ წინეთ ცხოვრობდენ? ნებით წავიდენ აქედან უწინდელი ადგილობრივი მცხოვრებნი, თუ ძალით გარეკა ვინმემ?

3) რა მიზეზია, რომ 1879-დან 1898 წლამდე აქ გადმოსახლებულები დღემდი მოუწყობელნი არიან, როგორც ამას ამტკიცებს ტელეგრამა?

4) რა რიგათ მოხდა, რომ 1906 წლამდე დასახელებული აგარაკი სრულიათ თავისუფალი იყო (თუ მართალია) მოიჯარადრეებისაგან, როცა მიწა მეტათ ესაჭიროებოდა იმათ, ვინც აგერ ოც-დაათი წელია აქ გადმოუსახლებიათ?

5) რამდენათ მართალია, რომ მეგრელებს იჯარა მიეცათ ერთი წლით და რატომ ერთი წლით და სხვა და სხვა...

ერთი სიტყვით, საჭიროა საქმის გარემოების დაწვრილებით ცოდნა.

კაი ხანია რაც პარნაუთელი გლეხების აწიოკება მოხდა. ამას მოყვა ჩვეულებრივი ჩვენებური ყიჟინი და ფართი-ფურთი და ბოლოს გულის და სინდისის დასამშვიდებლათ მოინახა დამნაშავე: ჩვენი დეპუტატები.

მადლობა ღმერთს, რომ ახლა ასეთი თავის გასამართლებელი საშუალება გვაქვს.

მაგრამ ეს საშუალება კარგია მათთვის, ვინც „განგაშს“ არის მიჩვეული.

ვისაც საქმის ინტერესი აქვს, ის ასთ ზომებს არ დასჯერდებოდა და აი სწორეთ ჩვენც ამათთადმი მივიქცევით და ვეკითხავთ მათ: სად არის ამდენ ხანს პასუხი და ცნობები ზემო დასმულ კითხვებზე? სად არის სურათი იმ უმსგავსოების და ძალმომრეობის სოხუმის ოლქში გადასახლების საქმეში?

ჩვენ ამას წინეთ დუმის ტრიბუნიდან იძულებული ვიყავით მუქარით მივმართეთ მთავრობისადმი და თვით დუმისადმი. ცოტა მაშინ გვიყურეთ, როცა შეკითხვას შემოვიტანთ, თუ რა ამბავი ხდება სოხუმის ოლქში დასახლების საქმეშიო.

რომ ეს მუქარა მუქარათ არ დარჩეს საჭიროა და ძლიერ საჩქაროთ შესაფერ ცნობები. ვუცდით.

**კარლო ჩხეიძე**
**მშ. გეგეჭკორი.**

პეტერბურგი.

## ახალი ამბები

**წ. კ. გამ. საზოგადოების მთავარ გამგეობამ** გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს მას დაბა ბორჯომში ფილიალურ განყოფილება გახსნას. წ. კ. ს. გამგეობის სხდომა დანიშნულია დღეს, 4 მარტს კრება გაარჩევს მორიგ საკითხებს.

✦ **თფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება.** სამშაბათს, 2 მარტს შესდგა თფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების გამგეობის წევრთა კრება. გამგეობამ დაადგინა იყოლიოს ქალაქის ყოველ უბანში ორ-ორი წევრი საზოგადოებისა, რომელთა ვალდებულობა შეადგენს საზოგადოებას წევრები მოუპოვოს და საზოგადოების წინ-სვლას ხელი შეუწყოს გამგეობის სხდომები მოხდება კვირაში ერთხელ ორშაბათობით.

✦ **ეკსკურსია.** სახელოსნო სკოლის მე-4 კლასის მოწაფეები ახლო მომავალში საეკსკურსიოთ გაემგზავრებიან ბაქოში, ტაგანროგში და სხვა ადგილებში.

✦ **ავჭალის ცხენის რკინის გზის** ლიანდაგის გადაკეთებას მომავალ ზაფხულიდან შეუდგებიან. ავჭალის ლიანდაგზე ელექტრონის ვაგონები გაივლის მომავალ ენკენისთვეში გზა მზათ იქნება მიმდინარე წელს მუხრანის ხიდზე დაიწყება ელექტრონის ვაგონების მიმოსვლა; მალე შეუდგებიან გზის გაყვანას ნაძალადევშიაც.

✦ **თფილის ტრამვაი.** თფილისის ტრამვაის დირექციამ ცნობები მიიღო ბრიუსელიდან, რომ მუხრან-ნაძალადევის ტრამვაის ლიანდაგის გასაყვანი და ავჭალის რკ. გზის გადასაკეთებელი მასალები უკვე მზათ არის, რომელიც მომავალ ზაფხულში გამოიგზავნება თფილისშიო.

✦ **სესხის განაღდება.** შესდგა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა შეერთებული კრება, რომელმაც განიხილა პეტერბურგიდან ა. არღუთინსკის მიერ გამოგზავნილი დეპეშა სესხის განაღდების შესახებ. სრული იმედია, რომ 100 მ. 87 მანეთათ განაღდებენ, მაგრამ ქალაქის გამგეობა მაინც უფრო ხელ-საყრელ პირობებს დაეძებს.

✦ **კავკასიის ერობის შესახებ** მასალები უკვე დაბეჭდილია. დაბეჭდილი მასალების მიღება შეიძლება საგლეხო საკრებულოში.

✦ **წალკის წყლის-საყვანი.** ამ დღეებში თფილისში მოელიან ინჟინერ ლინდეის, რომლის ჩამოსვლას კავშირი აქვს წალკაში წყლის-საყვანის დაარსების საქმესთან.

✦ **დამთავრდა ქუთაისის** გუბ. თავად-აზნაურთა სიეზდი. გუბერნიის მარშლათ ხელ-ახლა თავ. ს. დ. წერეთელი აირჩიეს.

✦ **რეფერატი.** დღეს საღამოს 8 საათზე თფილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი საერთო კრება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებისა. წაკითხულ იქნება ს. გორგაძის—მიერ რეფერატი—სათაურით: „ივერიის მეფე ვახტანგ I-ლი და მისი დრო“. კრებას შეუძლიათ დაესწრონ გარეშენიც.

✦ **რკინის გზ. სადგურზე თავდასხმა.** 1 მარტს ნაშუაღამევს ვიღაც 7 შეიარაღებული უცნობი ბერდანკებითა და ხანჯლებით სადგურ კოპიტნარში შეიჭრენ, შესტეხეს ოთახის კარები, რომელშიაც კასა იყო მოთავსებული. გასტეხეს კასის უჯრა და 35 მ. გაიტაცეს. ავაზაკები დაბა ხონისკენ გაუდგენ გზას. ადგილობრივი ჟანდარმი უკან დაედევნა ავაზაკებს და ერთი მათგანი შეიპყრო, რომელმაც თავის თავს სიმონ ბახტაძე უწოდა.

✦ **ლითონი განჯის გუბერნიაში.** განჯის გუბერნიაში ლითონით მდიდარი მიდამოები აღმოუჩენიათ. იმედი აქვთ, რომ უცხო კაპიტალ სტები უყურადღებოთ არ დასტოვებენ ამას.

✦ **შრომის ბირჟა.** თებერვლის განმავლობაში შრომის ბირჟაში 383 უმუ-

# ფიქრი

(ნაწყვეტათ)

ფიქრი, კვლავ ფიქრი, ფიქრებით
და ისევ ფიქრი ნაფიქრის,—
როდემდის ასე ვიქნებით,
ნუ თუ ნისლს აღარ გადიყრის!

გატვრინებული დუმილი,
გული-გულ დრტვინვა ამღელი,
მტკნარ მოწამლული ღიმილი,
და გადამდები ნაღველი:

ცა ქმუნავს, მიწა ქედს იხრის,
უნებულ დაუდევარი;
ამღვრეულს ბოღმას, ზედ იღვრის,
არ უჩანს შესატევარი...

და ისევ ფიქრი, ფიქრებით,
კვლავ ფიქრი, უკვე ნაფიქრის
ნუ თუ სულ ასე ვიქნებით,
ნაღველი აღარ გადიყრის!!!

**ვ. ტუქსიშვილი.**

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(გაგრძელება)

სასახლეში მყოფ ჯარს ეზო ვირებით აევსო, რომ ტყვია მათ ასცილებოდა. იგრიალა ყუმბარამ. მთელი სასახლე შეინძრა და სროლამაც იკლო. მალე მოისმა „ტრუბის“ ღმუილი. რევოლიუციონერებს ეგონათ ჯარი გვნებდებაო, მაგრამ მოსტყუვდენ. ჯარი სასახლიდან ეზოში გამოვარდა და იერიშის მიტანას ლამობდა. „მაუზერი“—დაიძახა ავქსენტიმ და შვიდმა კაცმა შეუწყვეტელი სროლა დაიწყეს მაუზერებიდან. ტყვია უბრალოთ არ იკარგებოდა. უაზრო სარბაზები ერთმანეთზე ცვიოდენ ძირს. ჯარი ისევ სასახლეში შევარდა და ისევ ორი ხრივ თოფის სროლა გაჩაღდა.

ალაყაფის კარის ზედა სართულში მყოფმა მარტოდ მარტო გიგომ ორი თოფი გამოიცვალა. მას ოთხჯერ ზარბაზანიც ესროლეს. სარბაზებს თითქოს აკვირვებდათ გიგო. მათ ეგონათ ტყვია ხვდებოდა მას, მაგრამ რაღაც მიზეზით არა კვდებოდა. „შაითან!“ უყვიროდენ მას.

გიგოს პატრონები სულ გამოელია. უკანასკნელი ყუმბარაც გადაუშვა სასახლისაკენ, მოუბრუნდა ქვედა სართულში მყოფ ამხანაგებს და ღიმილით ჩამოსძახა: „მე ვკვდები ამხანაგებო, მაგრამ იმ იმედით, რომ ჩემი სიკვდილით ჩემივე ძმები გაბედნიერდებიან. იყავით კარგათ. მშვიდობით...“

ნუ გეშინია! ჩვენ ზალპს მივსცემთ და შენ ამ დროს ჩამოხტი ჩვენთან, იყო პასუხი და შვიდმა კაცმა მაუზერებიდან ზალპი მისცა. ამით ისარგებლა გიგომ, ისკუპა და ამხანაგებთან ჩამოხტა. კვლავ ჩაიგდო გიგომ თოფი ხელში და უფრო გაჩაღდა ბრძოლა. ორჯერ კიდევ მოისმა „ტრუბის“ ხმა. კიდევ ლამობდა ჯარი იერიშის მიტანას,—მაგრამ შეუწყვეტელი სროლა მაუზერებიდან ერთ ფეხსაც არავის ადგმევინებდა წინ. მალე ალაყაფის კარებში გულში დასჭრეს აბრამა ბერძენი, რომელიც იქვე დაეცა და პირიდან სისხლმა ამოხეთქა. მოკლეს სპარსელი—ფიდაი, მოკლეს სომეხი... მოსი-ხანის მოპირდაპირე რაზმიც ცუდ დღეში იყო. ის ტიტველა მინდორზე იყო გაფანტული და სქელ კედლიან ქარვასლაში ჩასაფრებულ ყარაულებს თავდავიწყებით ებრძოდა, ყუმბარების და ზარბაზნების გრიალი, განუწყვეტელი სროლა მთელ ქალაქში და ხალხის ჟრიამული ყველა ერთმანეთში ირეოდა. ამგვარ ყოფაში ყუმბარას აქვს მნიშვნელობა. რაზმელებში კარგად ცნობილი მიშა კარგად ჰხედავდა ამას და ცეცხლში გახვეული გაექანა წინ სასახლისაკენ ყუმბარის სასროლათ, მაგრამ მკვლავში მძიმედ დაჭრილი ნახევრათ გზაში ჩაიკეცა... ფეხში დასჭრეს დროშაკელი ვართანა, რომელმაც იგრძნო რა, რომ საუკუნოთ ეთიხოვებოდა ყოველივეს, ამოიღო მაუზერი და თავს იკლავდა...საუკეთესო მებრძოლნი დაიჭრენ-დაიხოცენ. მათ დანახვაზე ეფრემმა, რომელსაც გამარჯვების იმედი ეკარგებოდა, ორჯერ დააპირა თავის მოკვლა, მაგრამ ამხანაგებმა დაიჭირეს და ამხნევებდენ... გათენდა და ბრწყინვალე მზემ უხვად მოჰფინა არე-მარეს სხივები. რევოლიუციონერები თავისას განაგრძობდენ. ერთხელ კიდევ მიიტანეს ყარაულებზე იერიში და ძალა მიხდილი მოსი-ხანი დილის რვა საათზე დამორჩილდა რევოლიუციონერებს. მოსი-ხანი დააპატიმრეს. რაზმს იარაღი აჰყარეს და გაუშვეს. როდესაც მოსი-ხანზე რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს, ყიჟინით გაქანდენ სასახლისაკენ. ყველა გარს შემოერტყა სასახლეს. კედლები უმალ ამოხვრიტეს თოფის გასაყობათ. ყუმბარების მსროლელნი ზედ კედელზე აცვივდენ და საშინელი ბრძოლა გაჩაღდა... მოატანა შუა დღემ. რამდენჯერმე წინადადება მისცეს შახის ჯარს დაეყარა იარაღი, მაგრამ ამაოდ. ყუმბარების გრიალმა და მრავალმა დახოცილ-დაჭრილებმა, ჯარი იძულებული ჰყო შუა დღის ორ საათზე მაინც დამორჩილდა. რევოლიუციონერები შეცვივდენ ეზოში, ზოგი ორი საჟენის სიმაღლე კედლიდან ჩახტა ეზოში და ჯარს იარაღი მოსთხოვეს. ყველა ევედრებოდა მათ ეპატიებინათ დანაშაული და სიცოცხლე ეჩუქებინათ. ამ რიგათ ოთხასმა კაცმა იარაღი დაჰყარა. რევოლიუციონერებმა სასახლეში შეიპყრეს ყაზვინის მოხუცი გუბერნატორი, 4 ზარბაზანი, 7000 სხვადასხვა სისტემის თოფი მრავალი პატრონით, სახელმწიფო საჯარო დროშა და ვინ მოსთვლის კიდევ რა.

აქამდისინ მებრძოლ სპარსელებზე—გილანელებზე სულ ცოტა თუ ვთქვით რამე და მეტი წილს კავკასიელებზე ვლაპარაკობდით, ეხლა კი დროა გილანელებზედაც ვსთქვათ კიდევ რამე.

ზემოხსენებული მურტაზის-დოვლე ხელმძღვანელი გილანელებისა, ისევ ს. პაჩინარში იდგა და როდესაც ყაზვინზე გალაშქრება გაიგო მხოლოდ მაშინ იკადრა წინსვლა. ვიდრე კავკასიელნი იბრძოდენ ყაზვინში და ერთი კაცის მიშველებაც კი მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ის მაშინ 200 გილანელით რუსის ფოსტის გზის „ზასტავა“-სთან იჯდა რუსის დროშა აფრიალებული და ყალიონს ეწეოდა. თუ რევოლიუციონერები დამარცხდებოდენ, ის არას ჰკარგავდა. ყველაზე ადრე გასწევდა რეშტისაკენ და თუ გაიმარჯვებდენ, ხომ ბურთი და მოედანი მისი იყო: შეესეოდა ყაზვინს და ყველას განურჩევლად გაცარცვავდა და ეს, სამწუხაროთ, ასეც მოხდა.

გაიგო თუ არა მურთაზირ-დოვლემ რევოლიუციონერები იმარჯვებენო, გაუძღვა რაზმს წინ და „იაშასუნ მურტაზის-დოვლეს“ ყვირილით ყაზვინში შებრძანდა. შესვლის უმალ მან გააბედნიერა ყაზვინი. ყველა სისაძაგლეში თავი ისახელა შვილითურთ, ალაარ-ხანით, რომელიც პეტერბურგში პაჟთა კორპუსში სწავლობდა და რუსულს კარგათ ლაპარაკობდა.

რაცა ჰქნა, ის ვგონებ იმდენათ საყურადღებო არ უნდა იყოს, რამდენადაც ის, რომ მას მიჰბაძა ერთმა გამოჩენილმა ქრისტიანმა ბელადთაგანმა, რომელმაც ტყვე მოსი-ხანს 12000 თუმანი თათრული ფული გამოსცინცლა და სიცოცხლე აჩუქა!

მოკლული შეიხ-ულ-ისლამის (უმაღლესი სამღვდელო პირია) სახლი და სიმდიდრე ხომ მთლად გაანადგურეს. ყველა ქურდობდა, სცარცვავდა და სისაძაგლეს ჩადიოდა.

ცნობილი სადარ-მუის (მუიზამ სულთანის) ძმა, მუტიბი-სალთანე მოპარული იარაღით და ცხენებით, რომელთაც რეშტში აგზავნიდა, დაიჭირეს, მაგრამ მუიზამ-სულთანის ხათრით ხმა ვერავინ გასცა. მურტაზირ-დოვლეს ხალხს ცამეტი მოპარული ჯორი გზაში დაატოვებინეს, მირზა-ალიხანს იარაღი დაუჭირეს, სალარ-ფაჯიმ 20000 თუმანი მდიდრებს წაართვა. ვინ მოსთვლის ყველას, რაც ყაზვინში მოხდა.

შესაძლებელია, აქ ნათქვამი ბევრს სიყალბე ეგონოს, ისიც შესაძლებელია, რომ ვისზედაც ითქვა რამე ცუდი, მათაც გაიგონ ნათქვამი და ფაქტები მოითხოვონ. ჩვენ მზათ ვართ.

არ შეგვიძლია ქრისტიან რევოლიუციონერებსაც დავაფაროთ ხელი და არა ვსთქვა რამე. თუმცა დიდი ქურდობა ერთის მეტი არ მომხდარა (აქ ვეხები იმ პირს, რომელმაც ზემოხსენებული 12000 თუმანი გამოართვა მოსი-ხანს), მაგრამ იარაღის მითვისება გაყიდვას კი ჰქონდა ადგილი. თუ ზევით დავასახელე რამდენიმე დიდი პირნი სახელდობრ, ეს იმისთვის, რომ მათი ქურდობა მთელმა სპარსეთმა იცის.

შევარი მისული სამუშაოს სათხოვნელათ. ამათგან მამაკაცია 177, ქალი—206.

**ლექტორი ლისოვსკი** გუშინ ქუთაისს გაემგზავრა, სადაც წაიკითხავს რამდენიმე ლექციას.

**ქალაქის გამგეობამ**, პოლიცმეისტერს თხოვნით მიმართა, განკარგულება მოახდინოს, რათა პოლიციელებმა თვალყური ადევნონ, რათა მეეზოვეები ქალაქის არხებს არ აბინძურებდენ, რაც არა ერთხელ შენიშნულია ქალაქის სამეურნეო პოლიციის აგენტების მიერ.

**საბავშვო კითხვები:** კვირას, 7 მარტს 11 საათიდან სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ნასიძე ქართულათ წაიკითხავს „დანგრეულ ბუდეს" სლივიცკისა. ამავე დღეს ავჭალის აუდიტორიაში პატარებისათვის ქ. გონიევისა წაიკითხავს „შლვას თავ-გადასავალს"; მოზრდილთათვის ქ-ნი ასათიანისა წაიკითხავს „თავ-განწირული ხალხი". დასაწყისი ათი საათიდან.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 2 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული სენაკის მაზრის მცხოვრები ა. თ. საცერელია. ამავე დღეს საპოლიციო უბნებში პოლიციამ შეიპყრო 25 უპასპორტო.

**ქურდების შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო და გამომძიებელს გადასცა ა. ე. ოსიპიანი, ა. ი. სიმონიანი და ბ. მ. ხარატიანი, რომელთაც პოლიციის ცნობებით, 7 მარტს გ. გ. არზიევის მაღაზიიდან 5,000 მ. ღირებულ ნივთების გატანაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ.

**მუშების საყურადღებოთ.** მდ. ვოლგის ნაპირიდან მირიან კობალაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ: ისე, როგორც ამ ზამთრის ბოლო რიცხვებში, ახლა აქ ძლიერი ყინვები და სიცივე დაიწყო. მოსალოდნელია აპრილის შუა რიცხვებამდის მდ. ვოლგა არ გაიხსნას. ამისათვის ვაცხადებ იმათ საყურადღებოთ, ვისაც აქ სამუშავოთ წამოსვლა სურს, ნუ წამოვლენ ჩვენდა დაუკითხავათ, რადგანაც ჯერჯერობით ჩვენ თვით არ ვიცით, თუ როგორ პირობებში დარჩება ჩვენი საქმე აქ.

**სამგლოვიარო წერილი.** ვსტირით უდროვოთ დაკარგულ ამხანაგ ს. მურვანიძეს: გ. ნხაიძე, ვ. გაჩეჩილაძე, ი. გაჩეჩილაძე.

## † სევასტი მურვანიძე.

მთელი ორი წლის განმავლობაში იტანჯა... პატრუქივით დადნა.. მთელი ამ ხნის განმავლობაში ლოგინზე იყო მიკრული... ერთხელაც არ ჩაუსუნთქავს წმინდა ჰაერი, არ მოხვედრია მის გულს სიცოცხლის დამატკბობელი მზის სხივი და ბოლოს, 22 თებერვალს განუტევა სული... სამუდამოთ დახუჭა თვალები.

სევასტი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ გონებით მახვილი, ხალხისადმი სიყვარულით აღვსილი გულით, გაკაჟებული ენერგიის მქონე, რის წყალობითაც მან თავისთავათ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. ღარიბ ოჯახში აღზრდილი სევასტი მუდამ უკმაყოფილო იყო, ის ვერ ურიგდებოდა დღევანდელ უკუღმართობას. ის არა ერთხელ დაუფიქრებია ბევრ საჭირ-ბოროტო კითხვას, მაგრამ პასუხი ვერ ენახა. წამოიზარდა თუ არა, სევასტი გადასახლდა ქალაქში, სადაც ქარხანაში ამოჰყო თავი. აქ ცხოვრების ჩარხის ტრიალმა, მას ბევრი რამ ასწავლა, თვალები აუხილა და აშკარათ დაანახვა დღევანდელი უკუღმართობა მუშა სევასტი ჩაება საზოგადო ფერხულში. აქედან იწყება მისი პრაქტიკული მოქმედება. 1901 წლიდან ის ბრუნდება გურიაში, სადაც თავგამოდებით ეწევა სახალხო საქმეს. ის ყოველივე გაჭირვებას ითმენს: შიმშილს, სიცივეს, დევნას, მაგრამ მისი გული მაინც არ დრკება. მას ციხეში ამწყვდევენ, ის მაინც მომავლისაკენ იმედით აღსავსე თვალებით იყურება და კვლავ განაგრძობს საყვარელ საქმეს. მაგრამ... რაც ვერ შესძლო ციხემ, ის შესძლო ულმობელმა სენმა. თუ ადამიანმა ვერ დაადუმა მისი მეტყველი ბაგე, ვერ დააჩუმა მისი მჩქეფარე მაჯის ცემა, ულმობელმა სენმა ეს ადვილათ შეასრულა, სამუდამოთ დაუხუჭა მგზნებარე თვალები, საფლავის ცივი კლიტე დაადო მის ბაგეს.

ამდენ ტანჯვა-წვალებას ვერ გაუძლო სევასტის ორგანიზმმა. 1908 წელს მას ჭლექი გაუჩნდა და ორი წლის ტანჯვა-წვალების შემდეგ სამუდამოთ დახუჭა თვალები მარტოთ, ხვარბეთის მიყრუებულ სოფელში, მეგობარ-ამხანაგების მოშორებით და თან ჩაიტანა ცივ სამარეში თავის.. მწარე მოგონებანი და მომავლის იმედები...

ის ჯერ სულ ახალგაზდა იყო—29—30 წლის. მშვიდობით, ტანჯულო მეგობარო სევასტი! №

## „განსაკუთრებული წესები".

I

გაძლიერებული დაცვა (усиленная охрана), საგანგებო დაცვა (чрезвычайная охрана), სამხედრო წესები (военное положеніе) შეადგენენ სხვადასხვა ნაწილს ეგრეთ წოდებულ განსაკუთრებულ წესებისას (исключительное положеніе).

მიუხედავათ იმისა, რომ 4 სექტემბრიდან 1881 წლისა ეს წესები მთელ რუსეთში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილს, მოდებულია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს „წესები" მეტის მეტი მკაცრი და მცხოვრებლების შემავიწროებელია და მასთან, არც ახალი ხილია,—ამ წესების შინაარსი თითქმის არავინ არ იცის. მათი ცოდნა კი საჭიროა არა მარტო მათთვის, ვინც ასე თუ ისე არღვევს კანონს სისტემატიურათ, „ვთქვათ, პროფესიონალურათ, არამედ — ეგრეთ წოდებულ მშვიდობიან მკვიდრთათვისაც, რომელთაც ძლიერ ხშირათ და ხშირათ უდანაშაულოთ ხვდებათ ამ წესების მოქნეული მათრახი.

ნორმალური პირობები რომ ავიღოთ და პოლიციის და საზოგადოთ ადმინისტრაციის ჩვეულებრივი კანონით მინიჭებულ უფლებებს თვალი გადავავლოთ, ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უფლებები რაოდენობითაც და თვისებითაც სრულიად საკმარისნი არიან, რომ დარღვეული კანონი აღდგენილი იყვეს და კანონის მოთხოვნის გვერდის ამვლელიც ჯეროვანათ დაისაჯოს. ეს ასეც იყო 1881 წლის პირველ მარტამდის.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ამ დრომდინაც ადმინისტრაციას დროგამოშვებით ეძლეოდა ესა თუ ის არაჩვეულებრივი უფლებები „კრამოლასთან" საბრძოლველათ, მაგრამ ეს უფლებები დროებითი და ხშირათ ადგილობრივი ხასიათის იყო, 1881 წლიდან კი ამ უფლებებმა საერთო ხასიათი მიიღეს და მასთან დღემდის ძალაშია ის წესები, რომელნიც გამოაცხადეს დროებით, სამი წლის ვადით. ამის შესახებ აი რას სწერს თავის ჟურნალში 10 თებერვალს 1905 წ. მინისტრთა კომიტეტი (ახლანდელი მინისტრთა საბჭო): „ეს წესები არსებობენ უკვე 22 წელიწადი; ამ წესების მოქმედების ქვეშ აღიზარდა მთელი თაობა, რომელსაც არ უნახავს სხვაგვარი წეს-რიგი ბრძოლის საზოგადოებრივი კეთილ-განწყობილების დასაცველათ და რომელიც რუსეთის იმპერიის საზოგადო კანონებს მხოლოდ წიგნებიდან იცნობს".

1 მარტს ცნობილი რევოლიუციონერი ჟელიაბოვის ჯგუფმა ალექსანდრე მეორეს ყუმბარა ესროლა, ჟელიაბოვის ყუმბარამ მთელი რუსეთი უმაგალითო რეაქციის ცეცხლში გახვია. მთელი რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკური მაჯის ცემა შესწყდა. მთავრობამ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მუსრი გაავლო; ქალაქის და ერობის თვითმართველობებს მუხრუჭი მოუჭირეს; რუსეთის ეგრეთ წოდებული საზოგადოება თითქოს მოკვდა. ამ დროს ისახებოდა რუსეთის ცხოვრებაში სოც.-დემ. პარტია. მუშათა კლასი ჯგუფ-ჯგუფათ ირაზმებოდა და მხოლოდ აქ იყო სიცოცხლის ნიშან-წყალი.

პოლიციას და ადმინისტრაციას კრამოლასთან საბრძოლველათ მანამდისაც ბევრი ზომები მოეპოვებოდა, მაგრამ უმაღლესი მთავრობა იმდენათ შეშინდა პირველი მარტით, რომ ახალი ზომების გამონახვას შეუდგა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მეტათ საყურადღებო გარემოება, რომელმაც შეუმჩნევლათ ჩაიარა. იმავე წლის 18 მარტს გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი განკარგულება: პეტერბურგის პოლიციის უფროსთან (при градоначальникѣ) დაარსდა დროებითი საბჭო, რომელშიაც შედიოდენ პეტერბურგის მცხოვრებთა წარმომადგენელნი. კრამოლასთან საბრძოლველი ზომები ამ საბჭოს უნდა განეხილა და დაემტკიცებია, უამისოთ კი არავითარ ზომას ძალა არ ქონდა. საბჭოში შედიოდენ: სახლის პატრონები, ბინის დამქირავებლები, ვაჭარ-მრეწველები, ზავოდების პატრონები და მედუქნეები. მთელი პეტერბურგი დაყოფილი იყო 228 ნაწილათ, თითოს თითო ამრჩეველი უნდა ყოლოდა, ესენი კი ირჩევდენ 25 წარმომადგენელს თავიანთ კანდიდატებით; აი ეს 25 კაცი შედიოდა აღნიშნულ საბჭოში. ესენი იყვენ „საზოგადოების აზრის გამომხატველნი". ეს დროებითი საბჭო ნამეტანი დროებითი შეიქნა: იმავე წლის 4 სექტემბერს ის უკვე გააუქმეს. ალბათ-მთავრობამ სრულიად ზედმეტათ დაინახა საზოგადოების აზრის მოსმენა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ კი რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება თავის ლოღიკას არ დაკარგავდა და ხალხთან განკერძოების პრინციპს არ უღალატებდა. გასაკვირველი ის კი არ არის, რომ საბჭო გააუქმეს, არამედ—მისი დაარსება უნდა გვაოცებდეს.

ახალი ზომების ძიება დამთავრდა იმავე წლის 14 აგვისტოს. მთავრობამ შეიმუშავა ახალი დებულება, რომელსაც შემდეგი სახელი უწოდა: სახელმწიფო წეს-რიგის და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დასაცველი ზომების დებულება (Положеніе о мѣрахъ по охраненію государственнаго порядка и общественнаго спокойствія) ეს დებულება გამოქვეყნებულ იქნა იმავე წლის 4 სექტემბერს.

ამ დებულებისთვის ვადა სამი წელიწადი იყო, მაგრამ 1905 წლამდის იგი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ისევ ძალაში შედიოდა, მხოლოდ 1905 წ. 25 ივნისს ეს დებულება განაგრძეს ერთი წლის ვადით. მიუხედავათ ამისა, იგი დღესაც ძალაშია, რადგანაც ყოველ წლივ მის ძალას ხელ-ახლავ ადასტურებენ. ასე რომ, სახელმწიფო სათათბიროს მოქმედების დროსაც ეს დებულება ისევ შედის ძალაში, როგორც ძველათ, ეს კი პირდაპირი დარღვევაა რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონებისა და აი რისთვის: დროებითი კანონი კარგავს თავის ძალას იმ დროს, როდესაც დგება ამავე კანონში აღნიშნული ვადა; თუ ამ კანონის შემოღება ხელახლავ უნდათ, უთუოთ იგი, როგორც კანონი, გასინჯული და დადასტურებული უნდა იყოს მეფისაგან, სახელმწიფო საბჭოსაგან და სახელმწიფო სათათბიროსაგან, ვინაიდან 23 აპრილს 1906 წლის აქეთ, როდესაც ახალი ძირითადი კანონები გამოცხადდა, რუსეთში საკანონმდებლო დაწესებულებები მხოლოდ ეს სამი ორგანოა და უამათოთ არც ერთ კანონს ძალა არ აქვს.

მართალია, ახლაც განსხვავებული წესების გამოცხადება მეფის უფლებას შეადგენს, მაგრამ წესების გამოცხადებისთანავე უთუოდ მათი შინაარსიც აღნიშნული უნდა იყოს. ეს, რასაკვირველია, კითხვის ფორმალური მხარეა, მაგრამ განსაკუთრებული წესები ისეთი მძიმე და აუტანელია, რომ მათი შემოღებისათვის ყოველივე მხარე კანონიერი უნდა იყოს. ახლა გადავიდეთ იმ კითხვაზე, თუ რას წარმოადგენენ ეს განსაკუთრებული წესები. ნამდვილათ რომ ითქვას, სამხედრო წესები არ შედიან ზემოთ აღნიშნულ დებულებაში. სამხედრო წესები უფრო ადრე იყო შედგენილი; ამისათვის ამ წესებს სულ ბოლოს მოვაქცევ და ცალკე განვმარტავ.

დებულება სამ ნაწილათ იყოფა: 1, გაძლიერებული დაცვა; 2, საგანგებო დაცვა; 3, განსაკუთრებული ზომები იმ ადგილებში, სადაც არ არის გამოცხადებული განსაკუთრებული წესები. უკანასკნელს ამ წერილში არ შევეხებით და დავიწყებთ გაძლიერებული დაცვიდან.

**იკა.**

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

გაზეთ „ახალი სხივი"-ს კანტორა სთხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც გაზეთის მორიგი ნომრები დააკლდებათ, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს კანტორას.

## ჟურნალისტების კრება

(შემდეგი)

**ნ. ცერცვაძე.** მე-3 სხდომაა, რაც ამ საქმეს ვარჩევთ. ყველა ამ სხდომებზე პირველ-ყოვლისა მე მაკვირვებს ის სიჩქარე, რომელსაც იჩენს ჟურნალისტთა საზოგადოება ამ სერიოზულ საქმის გარჩევის დროს.

მე მესმის ციმბირელი მუჟიკების პსიხოლოგია, როდესაც ისინი, მიასწრებენ რა ადგილზე ცხენის ქურდებს, წამოავლებენ კეტებს ხელს და დაუწყებენ დამნაშავეთ უწყალოთ ცემას. აქ არის ჯერ ციმბირის მუჟიკი და მერე მისი ცხენი. და ცხენი ხომ მისთვის ყველაფერია—მითი ხნავს, მითი თესავს, მითი მოაქვს სარჩო-საბადებელი, მითი დადის იქით-აქეთ, მოძრაობს ყველგან. და როდესაც ეს მისი საუნჯე, ერთათ-ერთი ნუგეში მისი ოჯახისა განსაცდელშია, ის სასოწარკვეთილებაში ვარდება და ვეღარ იპყრობს თავს.

მაგრამ ჩვენ ცხენებს ხომ ასეთი განსაცდელი არ მოელის ახლა! თუ ისინი ჯერ წაუყვანიათ არ არიან, ბბ. უიფიანი და ნაგურსკი მათ ვეღარ წაიყვანენ. ხომ ვიცით, მათი იარაღებისთვის და ... ბატალი აღარც ერთ ფრანკს, არც ერთ სანტიმს აღარ იძლევა. ჩვენ შეგვიძლია არ ავჩქარდეთ და სრულიად გულდამშვიდებით განვიხილოთ საქმე. ჟურნალისტის მოვალეობაა საქმეს შეხედოს უფრო ღრმათ, ფართოთ, ფილოსოფიურათ. ჟურნალისტმა უნდა აღმოაჩინოს თვით ის წყარო, ის ნიადაგი, საიდანაც აღმოცენდა ბოროტება, ჟურნალისტმა უნდა გამოარკვიოს მთელი გენეალოგია ამ ბიწიერებისა. ჟურნალისტს არ შეუძლია ამ საქმეს ცალმხრივ შეხედოს. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომ, სანამ ის ნიადაგი, ის წყარო, საიდანაც აღიზარდენ ბბ. უიფიანი და ნაგურსკი ხელუხლებელია, მრავალი იმათთანა ათობით და ასობით აღმოცენდებიან. ჩვენი დანიშნულებაა ეს ნიადაგი მოვსპოთ—ღრმათ გავატაროთ სახნის-საკვეთი და ძირიანათ ამოვგდოთ ღვარძლი. ჩვენ არავფერ შემთხვევაში არ უნდა შევხედოთ ბბ. უიფიანს და ნაგურსკის, როგორც მთელი საზოგადოების ცოდვათა განტოვების ვარაკებათ. ჩვენ მსხვერპლი არ გვინდა. ჩვენ უნდა ვსდევნოთ ბოროტება, ბიწიერება და არა პიროვნება.

ცხენის ქურდების მოგონების შემდეგ მე უნებლიეთ აქ მაგონდება ერთი სკოლა, სადაც ქურდობას ასწავლიდენ. ვისაც კი ამ სკოლის მეგირდებთაგანს ქურდობაში დაიჭერდენ, სასტიკათ სჯიდენ, ხოლო იმისთვის კი არა,—რად მოიპარეო, არამედ იმისთვის—რად დაგიჭირესო.

აქ ბრალდებულებს „გაგდებული საყვარლები" უწოდეს, მაგრამ რად დაგვიწყდებათ—მათ მიერ დატოვებული საყვარლები! ჟურნალისტმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ საყვარელი (ქალი) მუდამ მსხვერპლია, საყვარელი (კაცი) კი—დამნაშავე. და რომ მამაკაცთა მხრის მემრუშენი არ იყვენ, ერთი როსკიპიც არ იქნებოდა ქვეყანაზე.

ამნაირათ, პასუხისგებაში უნდა მივცეთ ჩვენ არა მარტო ბბ. უიფიანი და ნაგურსკი, არამედ მთელი ქალაქის თვითმართველობა, ბელგიის უსახელო საზოგადოება და მთელი რეპტილიური პრესსა. ჩვენ არ შეგვიძლია ეს საქმე გავითვალისწინოთ და სამართლიანი მსაჯვრი დავსდოთ, სანამ ამ სამ დაწესებულებათ არ გადავავლებთ თვალს მოკლეთ მაინც.

საქმის გამომჟღავნება იწყება არტისტიულ საზოგადოების ბუფეტში. მე ასე წარმოვიდგენ ბატალის და თავად არღუთინსკის საუბარს:

როდესაც ამ ბატონებმა ბუფეტში კარგა როგიანათ ისაუზმეს, რასაკვირველია, კახურის და შამპანიურის ზედმიყოლებით, მოსიო ბატალი ეუბნება თავად არღუთინსკის: აი, თავადო, ჩვენ, ე. ი. მე და ყველა თქვენ —ქალაქის გამგეობა, პატიოსანი ხალხი ვართ. ვქეიფობთ ერთად ბუფეტში, რესტორანებში, ჩემთან პარკში რაუტზე და საქმეებსაც ვაკეთებთ, ერთი მეორეს სამსახურს ვუწევთ—თქვენ ბელგიის საზოგადოებისთვის ყველაფერი გაგიკეთებიათ, რაც კი მოსურვებია. ჩვენი მოქმედებაც თქვენ სურვილს შეეფერება და კიდევაც მოგწონთ, რაც ალექსანდრე ივანოვიჩმა გამოხატა თავის მშვენიერ სიტყვაში რაუტზე ტრამვაის პარკში და აგრეთვე მთელმა გამგეობამ მის მიერ ჩემდამი ბოძებულ ქებითი ფურცელში. მე ძვირფასათ მიმაჩნია ეს ატესტატი. მეც, თამამათ ვიტყვი, თქვენი ნატვრა აღმისრულებია—ყველას მაგიერათ ტრამვაის მუშებისთვის სასტიკათ მური მიძიებია. მე იმათ სულ ყველაფერი უკან წავგლიჯე სწორეთ იმ სისასტიკით, როგორითაც ისინი ჩვენ გვგლეჯდენ. მე ისინი, ყველანი, ჯერ ჩემწინ დავაჩოქე და მერე თქვენ და პოლიცმეისტერს გამოგიგზავნეთ. ხომ დავამყარე წესრიგი, ხომ ყებრათ შევასრულე ჩემი როლი?

— დიახ, დიახ, მოსიე ბატალ, დიდი მადლობის და ჯილდოს ღირსი ბძანდებით.

— ახლა ეს მიბძანე, კნიაზ-ჯან, ამ კანალია მირზოევს რისთვის ვაძლევ ათას ფრანკს —მიტომ, რომ მუდამ გაზეთში მლანძღოს მაგინოს და მიწასთან გამასწოროს!? არა სჯობია ეს ათასი ფრანკი ჩვენ თვითონ გვხვამოთ!?

— როგორ თუ ათასი ფრანკი, ეს ხუმრობა ხომ არ არის, ასე ადვილათ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს სერიოზული საქმეა, ამას დამტკიცება უნდა.

— მეც სერიოზულათ მოგახსენებთ, კნიაზ, და დამტკიცებულიც გახლავთ. მე მაქ წერილობითი პირობა სერგეი ზურაბიჩ მირზოევთან. ამ პირობაზე აქვს ხელი მოწერილი ოვით უმთავრეს გამგეობას ბროუ-

ყაზვინის შეპყრობილი გუბერნატორი გურჯებს ებარათ. საცოდავ გუბერნატორს კარგი, რომ ტყავი მაინც შეარჩინეს.

„რა ვქნა შვილებო! მე სპარსელი ხანის შვილი ვარ. ბავშობითვე აღზრდილი ვიყავ და შესისხლხორცებული მქონდა ყველა ის, რაც ჩვეულებაა ჩვეჲში. მე არ შემიძლია ერთსა და იმავე დროს ორ სანდალზედ ჯდომა. აი ნახეთ (და პირიდან ამოიღო ჩამავებული ჩასხმული კბილები) განა ამ კბილების პატრონ სპარსელ ხანს ეცოდინება რა არის რაღაც კონსტიტუცია? მე არ მესმის რათ ებრძვით თქვენ შახს? განა თვით თქვენმა ბელადმა სეპეხდარმა კი იცის რამე? არასოდეს!

ეჰ! რაც გნებავთ ის მიყავით, მხოლოდ ამაზედ მეტს ვინ რაღას მიზამს, ულუკმა პუროთაც დამტოვეთ... მოხუც გუბერნატორს ჩაცვენილი თვალებიდან ცრემლები გადმოცვივდა. ამ ცრემლების დანახვამ ბევრს გული მოუშხამა და ყველა აქეთ-იქით გაიფანტენ.

24 აპრილს დაასაფლავეს მოკლული რევოლიუციონერები, მათ შორის იოსებ ცკიმაწური. ყველა მოღრუბლული და გულ-ჩათუთქული მიჰყვებოდა თავისუფლების მსხვერპლის კუბოს. დასაფლავებისას სიტყვა წარმოითქვა, რუსულ ენაზე, რომელიც რუს მღვდელს არ მოეწონა და გაქცევა დააპირა.

იოსები მიწას მიაბარეს...

25 აპრილს ეფრემის ბრძანებით შეიპყრეს და სახალხოთ დახვრიტეს ყაზახთა გენერალი და ერთი სომეხი, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ.

ამავე დღეს გურჯებმა დააპატიმრეს ორი ჯგუფის წევრი რუსები „ბოსიაკი" და ჟივანე, რომელთაც ჯაშუშობა შეამჩნიეს და გადასახლება გადაუწყვიტეს. ყაზვინის ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. მოკვდა 4 რევოლ. დაიჭრა 18. შახის ჯარს და ყარადაღელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მოკვდა ას ოცამდე, დაიჭრა ორასამდე. დანარჩენები თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდენ.

გამარჯვების უმალ ყაზვინში გაიხსნა ენჯუმენი და საჭირო რევოლიუციონური დაწესებულებანი, რომელშიაც ჩვეულებისამებრ მოლები და ბელადი ხანების ნათესავები მოჰყვენ.

სეპეხდარიც რეშტიდან ჩამოვიდა ყაზვინში, რომელსაც ხალხი დიდი აღტაცებით მიეგება და ჩვეულებისამებრ უნდოდათ ცოცხალი კაცი მსხვერპლათ მიერთმიათ. შემოვიდა თუ არა სეპეხდარი შუა ქალაქში, მის ეტლს გადაეღობა ბავშვით და გალესილი დანით ხელში ვიღაც გილანელი. დააწვინა ბავშვი მიწაზედ და ის იყო ყელში დანა უნდა გამოესვა, რომ ხელი სტაცა ერთმა ქართველთაგანმა და საცოდავი ბავშვი, რომელიც შავი თვალებით თითქოს გაკვირვებული ხმის ამოუღებლათ მამას შეჰყურებდა, სიკვდილს გადაარჩინა.

ყაზვინის აღებისას ქართველებმა პირნათლათ შეასრულეს თავიანთი როლი.

15 მაისს ორი სამი კაცის გარდა, ყველამ მიიღო სამგზავრო ფული და რეშტში დაბრუნდენ სამშობლოში წასასვლელათ. მაისის გასულს სამოცი კაციდან 8—9 კაცი ღა იყო რეშტში დარჩენილი, რომლებიც პოლიციას ერიდებოდენ და დროებით რეშტში დარჩენა არჩიეს.

**გურჯი სერგო.**

(შემდეგი იქნება).

სელში უკვე ნახევარი წელი მეტია და დღიდან ხელისმოწერისა ძალაშიაც არის. ამ პირობის ძალით ბ. მირზოევმა შეადგინა „პრესის სინდიკატი“, რომელიც უნდა იცავდეს ტრამვაის ინტერესებს, რისთვისაც ბ. მირზოევს ეძლევა ყოველ თვეში ათასი ფრანკი. ის კი ჩემი ფულით გაზეთსა სცემს და მე მაგინებს. გაგონილა ამისთანა საქმე!?

სტეფან ფეოდოროვიჩი ჭრელაევი, რასაკვირველია, იქ ზის, როგორც „დეუს ექს მახინა“.

ერთი თვეა, რაც ამ საქმეზე ძიება წარმოებს ბევრი საყურადღებო ცნობები შეიკრიბა, ხოლო ეს ცნობები მეტათ ცალმხრივია—ჩვეულებრივი პოლიციური, შაბლონურია. უსათუოთ ჩვენ უნდა ფართოთ გადავავლოთ მას თვალი.

აბა როგორ შეიძლება არ გადავხედოთ იმ პერიოდს, როდესაც ტრამვაიში გადადიან ქალაქის თვითმართველობის „აზღვები“ და ახდენენ კონტრ-რევოლიუციას.

ხომ გახსოვთ, ბატონებო, ერთ დროს გაზეთებში დაიბეჭდა ერთი პროვოკაციული წერილი, თითქო ტრამვაის მუშებისაგან ბებელისადმი მიწერილი. ამ წერილში, როგორც მოგეხსენებათ, თითქო მუშები სწერდენ ბებელს: რვა საათიანი სამუშაო დღე მოვიპოვეთ, მედიცინური შემწეობა მწარმოებლის ხარჯზე გვაქვს, უფასო ბილეთებიც ყველას მთელი ოჯახებისთვის მოგვცეს. დაგვრჩომია კიდევ რამე-და თუ არა მოსაპოებლათ? ვითომ ბებელი ამაზე უპასუხებდა: ისე კი არა ქნათ, რომ წარმოება სულ არ მოსპოთ და თვითონ მშრალზე არ დარჩეთო. ამბობენ, ეს წერილი ბებელის გასაგზავნათ ქალაქის გამგეობის ერთმა წევრთაგანმა გადათარგმნა ნემეცურ ენაზეო.

მე არ ვიცი, ვინ გადათარგმნა და ან ორიგინალი ვინ დაწერა. ხოლო ცხადია ყველასათვის, რომ ქალაქის თვითმართველობამ დაიწყო მზადება ამ წერილის საპასუხოთ და კიდევაც უპასუხა, როცა დრო დაუდგა.

დაიწყო თუ არა რეაქცია და მოახლოვდა გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიკვიდაცია, ტრამვაიში გადადიან კონტრ-რევოლიუციის ორგანიზატორებათ ქალაქის ინჟენერათ ნამყოფი ალიბეგოვი და საბჭოს სეკრეტრათ ნამყოფი და ეხლა საბჭოს ხმოსანი ჭრელაევი. პირველი დირექტორათ და მეორე სეკრეტრათ და გადადიან არა-პირდაპირ მუშების მოწინააღმდეგეებათ, არამედ—შეპარვით. ესენი ამზადებენ ნიადაგს კონტრ-რევოლიუციისათვის. როდესაც ეს ორი გვამი ოფიციალურათ მოქმედებენ, ჩუმათ მათ ეხმარება საბჭოს ხმოსანი მირზოევი და, რასაკვირველია იმათ ხელს უწყობს ქალაქის გამგეობა. ამ დროში ისინი ახერხებენ ქალაქთან საჩივრის გამართვას, კიდევაც იგებენ საქმეს და ადებენ ქალაქს გადასახდელათ 64 ათას მანეთს თავისი ხარჯით.

და აი, როდესაც ნიადაგი მოამზადეს და ყველა მოქმედების მთელი პროგრამა შეიმუშავეს, მოდის ბელგიიდან უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ინჟენერი ლებონი. ჯერ შეუდგენ ქალაქის თვითმართველობასთან საქმის განაღდებას. იმათ ქალაქთან კონტრაქტი დარღვეული ქონდათ. თუ ქალაქი იმათ კონტრაქტს არ განუახლებდა და ხელახალ ვადებს არ აღუდგენდა, ხელი უნდა აეღოთ მთელ წარმოებაზე და ამნაირათ უნდა დაკარგოდათ მთელი მილიონების საქმე. ქალაქის თვითმართველობის კედელში უკვე გაკეთებული ქონდათ „ბრეში.“ საჭირო იყო გარეშე საზოგადოებიდან არავის შეეშალა ხელი. ამიტომ გამოცდილი კაპიტალისტების ტაქტიკა მოითხოვდა პრესის მოსყიდვას.

და აი აქაც ორგანიზატორობას ეწევიან იგივე საბჭოს ხმოსნები: მირზოევი და ჭრელაევი. ამის გულისთვის იმათ ბრიუსელიც-კი მოიარეს. და აი შესაფერი მომენტისთვის, როდესაც ქალაქის საბჭოში სხდომებზე დიდი კამათებია გამართული, იბეჭდება გაზეთებში სტატიები ტრამვაის სასარგებლოთ. ჩვენ მხოლოდ გვიან ვტყობილობთ, რომ ეს ხდება უკვე ხელმოწერილ კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც არის შეკრული მირზოევისა და უსახელო საზოგადოების შორის. უკანასკნელის ინტერესების დასაცველათ დაწესებულია „პრესის სინდიკატი“.

(დასასრული იქნება)

## რისთვის ერეკებიან?

(წერილი ფოთიდან.)

გასულ კვირას გაზეთებმა გვაუწყეს; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ არ დაამტკიცა ფოთის განყოფილების დაარსებაო. ამასვე იუწყება თვით საზოგადოების გამგეობაც, ის იწერება: „განყოფილების დაარსება ვერ დაამტკიცა გამგეობამ, რადგანაც საორგანიზაციო კრებაში მონაწილეობა მიუღია არა წევრებსაც. საორგანიზაციო კრებაში, რომელიც ადგენს განყოფილების დაარსებას და ირჩევს გამგეობას, მონაწილეობას უნდა იღებდენ მხოლოდ „წ. კ. საზოგადოების“ ნამდვილი წევრები, ე. ი. პირები, რომელნიც უკვე მიღებული არიან წევრებათ. საორგანიზაციო კრებას წევრების მიღება არ შეუძლია და სხვა... (იხ. მთავარი გამგეობის წერილი № 61—19 თებერვლის თარიღით).

რაშია საქმე?

— როგორც ამ უკანასკნელათ გამოირკვა, რამდენიმე ადგილობრივ პირთ მოუსურვებიათ ფოთში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების დაარსება, რისთვისაც „ინსტრუქციის“ ძალით საჭიროა თანხმობა „წ. კ. საზოგადოების“ არა ნაკლებ 30 ადგილობრივი წევრისა (იხ. ინსტრუქცია მუხლი მერვე,). ბ-ნთ ინიციატორებსაც შეუდგენია სია თითქმის 38 მსურველისა და უთხოვიათ „წ. კ. საზოგადოების“ გამგეობისათვის ამ პირთა საზოგადოების წევრებათ დაკანონება. „საზოგადოებასაც“ თავის საერთო კრებაზე (მგონი დეკემბერში) უცვნია ეს პირები ნამდვილ წევრებათ და მოუწერია ინიციატორთათვის, რომ მათ საორგანიზაციო კრება მოეწვიათ. ამ მიზნით ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში 31 იანვარს მოხდა წევრებათ მიღებულ პირთა კრება, მაგრამ საკმაო წევრთა გამოუცხადებლობის გამო კრებამ აირჩია მხოლოდ კომისია, რომელსაც მიანდო ადგილობრივ განყოფილების გამგეობის კანდიდატების დასახელება და მეორე კრების მოწვევა, რომელზედაც უნდა წარმოედგინათ ეს სია და—დაიშალა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფოთში გამოჩნდა შემდეგი განცხადება: „კვირას 7 თებერვალს საღამოს 7 საათზე—ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით დანიშნულია **წერა-კითხვის საზოგადოების ფოთის განყოფილების დამფუძნებელი კრება.** ვისაც სურს საზოგადოების წევრობა და განყოფილების გამგეობის არჩევნებში ნონაწილეობის მიღება, ვსთხოვთ საწევრო ფული 3-მანეთი კრებამდის გადასცეს დროებით ხაზინადარს იოსებ კოხრეიძეს.“

ეს განცხადება პირველი იყო ფოთში წ. კ. საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ. შვიდ თებერვალს ქალაქის გამგეობის დარბაზში გამოცხადდა 31 წევრათ ჩაწერის მსურველი და 22 დამტკიცებული წევრები. ახალმა წევრებმა თან მოიტანეს საწევრო გადასახადი და თანახმათ ზემოხსენებული განცხადებისა მოითხოვეს გამგეობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და სხვებთან ერთათ თავისი კანდიდატების გაყვანა. ამ 31 მსურველთა შორის უმეტესობა, ინიციატორთა არა სასურველი პირები აღმოჩნდა და ამის გამო გაიმართა დავა: აქვთ ახალ წევრებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება თუ არა. დიდის ვაივაგლახის შემდეგ კრების თავმჯდომარემ ბ. ი. მეუნარგიამ, ნამდვილ წევრთა ხმის დიდი უმეტესობით წესდების მე-16 მუხლის თანახმათ მიიღო 31 ახალი წევრი და შემდეგ მათი მონაწილეობით მოახდინა გამგეობის არჩევნები. აირჩიეს 11 კაცი. ამ არჩევნების ოქმი გაუგზავნეს თფილისის გამგეობას, მაგრამ მან არ დაამტკიცა ის და მოიწერა: „საორგანიზაციო პროტოკოლს ხელი უნდა მოაწეროს წ. კ. საზოგადოების 30 ნამდვილმა წევრმა,—გთხოვთ მოიწვიოთ ხელახალი საორგანიზაციო კრებაო“. აი სწორეთ ხათაბალა თუ გინდა ეს არის. გამგეობა იწერება: მოიწვიეთ ხელ-ახალი საორგანიზაციო კრებაო. აქედან ცხადია, მთავარი გამგეობის აზრით ფოთელების 7 თებერვლის კრება საორგანიზაციო უნდა ყოფილიყო, ფოთელი ინიციატორები კი ცალკე განცხადებებით იწვევენ „**წ. კ. საზოგადოების ფოთის განყოფილების დამფუძნებელთა კრებას**“, სთხოვენ წევრათ ჩაწერის მსურველთ სამ-სამი მანეთი გადასცენ დროებით ხაზინადარს ი. კოხრეიძეს და **გამგეობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.** აქ პირდაპირი წინააღმდეგობაა, დომხალიკით არევ-დარევაა. ორში ერთი: ან მართალია საზოგადოების მთავარი გამგეობა და მაშინ ცდებიან (ეგებ წესდების უცოდინარობითაც) ფოთელი ინიციატორები, ან და მართალი არიან ეს უკანასკნელნი და [illegible] ნებსით თუ უნებლიეთ შეცდომა[illegible] მთავარი გამგეობა, როდესაც მუჯლუგუნით ერეკება 31 სამ მანეთიან წევრთ საზოგადოებისაგან. თფილისის გამგეობა იწერება: „საორგანიზაციო კრებას წევრის მიღება არ შეუძლიაო“. მაგრამ ვის შეუძლია, ან რა პირობებში ადგილობრივი წევრის მიღება ამის შესახებ ის სდუმს. არც ინსტრუქციაშია პირდაპირი ჩვენება ამის შესახებ. აქ მარტო შემდეგი სწერია: „ადგილობრივი განყოფილების მართველობა მოეწყობა თანახმედ საზოგადოების წესდების მე-4 თავში ნაჩვენებ ორგანიზაციისა ე. ი. შესდგება **ადგილობრივი საზოგადო კრებები** (213) და სხვა. (იხ. ინსტრუქციის მეექვსე მუხლი).

(დასასრული იქნება)

# უკანასკნელი ფოსტა

### საზღვარ-გარეთ

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის.** ლანდტაგში მეორეთ კითხულობენ საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტს. დარბაზი და ქანდარები ხალხით არის გაჭედილი.

სოციალ-დემოკრატების შეხვედრით დაშინებული კანცლერი გვიან-გვიან მოდის სხდომებზე.

სო.-დემოკრატ გირშის სიტყვას, რომელიც საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის მიცემას მოითხოვდა, კონსერვატორები და ცენტრი სიცილით და დრიანცელით შეხვდენ. სოციალ-დემოკრატების წინადადება უარყოფილ იქნა.

კენჭის ყრის დროს სოც.-დემოკრატები, თავისუფალ-მოაზრეები და ნაციონალ-ლიბერალები სხდომის დარბაზს სტოვებენ.

ბოლოს ცენტრი და კონსერვატორები შეთანხმდენ, რომ დეპუტატები ირჩეოდენ ღია კენჭის ყრით, ხოლო ამრჩევლები—ფარული ხმის მიცემით. ცენტრისა და კონსერვატორების ხმებით ეს წინადადება მიღებულ იქნა

**ს.-დემ შეკითხვა.** რეიხსტაგმა განიხილა სოციალ-დემოკრატების შეკითხვა იმის შესახებ, რომ 21 თებერვლის დემონსტრაციების აკრძალვით პოლიციამ უკანონო მოქმედება ჩაიდინა და თავის უფლებებს გადააჭარბაო.

შეკითხვა დაასაბუთა დეპუტატმა ლედებურმა. თავმჯდომარემ ორჯერ შეაწყვეტინა მას სიტყვა, რადგან ლედებურმა მკაცრი სიტყვებით მოიხსენია მთავრობა და პოლიცია.

შეკითხვაზე პასუხი გასცა დელბრიუკმა. ის აცხადებს, რომ თითონ იყო მოწმე ტირგარტენთან მომხდარი ამბების. მართალია, პოლიციელებს ამ დღეს ნერვები ძალზე ქონდათ აშლილი, ამბობს დელბრიუკი, მაგრამ უფლებების გადაჭარბების მაგალითი მათ არ მიუციათო.

კონსერვატორი რიხტგოფენი თავისი პარტიის სახელით მადლობას უცხადებს პოლიციას, რომელმაც მანიფესტანტები „დაამშვიდა“.

### რუსეთი.

**დუმის გარშემო.** შეკითხვების კომისიამ განიხილა მოხსენება იმის შესახებ, რომ ცენზურამ სახ. დუმის და საბჭოს წიგნთ-საცავებში არა-ლეგალური გამოცემების შენახვა აკრძალა. კომისიის თავმჯდომარემ უარეთ შეკითხვის ფორმულიროვკა და ახალი ფორმულიროვკა წამოაყენა. კომისიამ მიიღო ახალი ფორმულიროვკა, მაგრამ როდესაც შეკითხვას კენჭი უყარეს, ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა.

— სახ. დუმაში საგანგებო კომისიამ მოხსენება წარადგინა კრონშტადში საგრადონაჩალნიკოს დაარსების შესახებ. ამ საკითხის გამო დუმაში კანონ-პროექტი შეტანილი. ამ კანონ-პროექტის თანახმათ 1910 წ. 1 მაისიდან ქ. კრონშტადში უნდა მოისპოს სამხედრო გენერალ გუბერნატორის თანამდებობა და საგენერალ გუბერნატოროს საზღვრებში შემოღებულ უნდა იქნეს კრონშტადტის საგრადონაჩალნიკო.

— პოლონელ დეპუტატებს შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია სახელმწ. საბჭოს პოლონელ დეპუტატთა ჯგუფში მომხდარმა განხეთქილებამ საფუთო გადასახადის შესახებ. კენჭის ყრის დროს ლიტვისა და თეთრი რუსის (бѣлой руси) პოლონ. კოლომ სტოლიპინს დაუჭირა მხარი და საფუთო გადასახადის წინააღმდეგ მისცა ხმა. პოლონეთის სამეფოს კოლომ კი საფუთო გადასახადის სასარგებლოთ მისცა ხმა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ლიტვისა და თეთრი რუსის კოლოს საფუთო გადასახადის წინააღმდეგ ხმის მიცემით სურდა ხაზი გაესვა თავისი დამოკიდებულებისათვის პ. ა. სტოლიპინის პოლიტიკისადმი. გარდა ამისა, ლიტვისა და თეთრ. რუს. კოლოს აზრით პოლონეთის ქალაქებში საფუთო გადასახადის ადმინისტრატიული წესით შემოღება უფრო ადვილი იქნება, ვინემ საკანონმდებლო წესით.

**მუშათა სახლი.** ვასილიევის კუნძულის (პეტერბურგში) მომხმარებელთა საზოგადოებას განუზრახავს კოოპერატიულ ნიადაგზე აგოს საზოგადო მუშათა სახლი. მუშათა უფასო ბინებს გარდა ამ სახლში მოთავსებული იქნება მწარმოებელი და მომხმარებელი კოოპერატივები. უმთავრესი დანიშნულება მუშათა სახლისა იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებს ბინა მისცეს ლექციების და კრებების გასამართავათ. აზრათ აქვთ აგრეთვე ამ სახლში გამართონ სავალდებულო კურსები სრულ-წლოვანთათვის.

გენ. დუმბაძე. უკანასკნელ დროს განმავლობაში სატახტო გაზეთებში ბევრი, გენ. დუმბაძისათვის არა სასურველი ამბავი, გამოქვეყნდა იალტის პოლიციის მოქმედების შესახებ. ამის გამო გენ. დუმბაძემ ბრძანება უბრძანა:

მოსძებნეთ იალტაში მცხოვრები კორესპონდენტებიო...

„რ. ს.“ გადმოგვცემს, რომ დუმბაძეს «არა სასურველათ» უცვნია „მკვლაბნელების“ იალტაში დატოვება და გადაუწყვეტია მათი გადასახლება.

# პროვინცია

**სად. ეჩმიაძინი.** „ახალი სხივის“ მე-12 №-ში მოთავსებულმა კორესპონდენციამ სულ დაუბნია დავთარი ბ. შეკრულიძეს, მოხსნა თავი ლანძღვა-გინებას გუდას და ვინ იცის რას არ ამბობს. ჩემი კორესპონდენციის ავტორობა მან დააბრალა თავის თანაშემწეს ბ. ც—ია, რომელიც დიდი ხანია ათვალწუნებული ყავს და მისი თავიდან მოსაშორებლათ არავითარ საშუალებას არ ერიდება. კორესპონდენციის წაკითხვის შემდეგ ხომ სულ გადაირია. ერთ დღეს ც—ია შევიდა ბ. შეკრულაძესთან კაბინეთში საქმისთვის. შეკრულაძემ ისარგებლა შემთხვევით და როცა ც—ია კაბინეთიდან გამოდიოდა, ჩუმათ დაუძახა ჟანდარმს და განუცხადა: ბ. ც—იამ კაბინეთში ყოფნის დროს სიტყვით შეურაცხყოფა მომაყენა და ოქმი შეადგინეო, თან მოწმეთ დაუსახელა იქვე მყოფი მისი კლიენტები—საქონლის გამომწერნი, მიმღებნი. ჟანდარმმა პასუხი მოსთხოვა ბ. ც—იას. ის მიხვდა შეკრულაძის ოინბაზობას და სიმართლის აღსადგენათ, ჟანდარმთან ერთათ, წინ წარუდგა საქონლების მიმღებს და გამოკითხა თუ როგორ მოიქცა ის სადგურის უფროსის კაბინეთში. შეკრულაძე ამ დროს იქ არ იყო. მათ განუცხადეს ჟანდარმს, რომ არავითარი ყვირილი და ლანძღვა არ ყოფილა, მხოლოდ ბ. ც—ია შემოვიდა, რაღაც ქაღალდი დასდო მაგიდაზე და ისევ გაბრუნდაო. ამაზე ბ. ც—იამ დაუსახელა რა კერძო პირები და მოსამსახურეები მოწმათ, ოფიციალური განცხადება მისცა ჟანდარმს და სთხოვა საქმის ნეიტრალურათ გამოძიება. მაგრამ, რდგან საქმე ბ. შეკრულაძეს სასარგებლოთ არ იწყებოდა, მან ამაზე ოქმი არ შეაყენა. ბ. შეკრულაძემ კი თავის მხრით აცნობა თავის უფროს დეპეშით, რომ ც—იამ შეურაცხყოფა მიაყენა კაბინეთში.

ბზიკი.

# მუშათა შორის

**ჭიათურა.** ძმათა ფორუდის და კ—ს მადაროს მუშათა ცხოვრებიდან.

რვა საათის სამუშაო დღე, კარგი ხელფასი, ბინა, შეშა, ნავთი, საპონი და სხვა აი ის ცოტა [illegible] ნი პირობები, რომლებითაც [illegible] ლიბდენ ჭიათურის [illegible] ნებულ 1906 წელს, მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა, საერთო გამოლაშქრებასთან ერთათ ხაზეინებმაც ფრთები შეისხეს და მთელი სისასტიკით შეუტიეს მუშებს, მოინდომეს მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვა და კიდევაც აისრულეს სურვილი. აქ მათ საგრძნობელი დახმარება გაუწიეს ზოგიერთმა შეუგნებელმა მუშებმა. ყველა უფლებების წართმევასთან ერთათ ხაზეიმებმა მოინდომეს „აკორდით“ მუშაობის შემოღება! გამოჩნდენ ისეთი მუშები, რომლებიც, მეტი შეძენის სურვილით გატაცებულნი, დასთანხმდენ აკორდით მუშაობაზე. ხაზეინებსაც ეს უნდოდათ. დღემდე მხოლოდ მარტო ძმ. ფორუდის მაღაროებში იყო დარჩენილი ძველი პირობები, მაგრამ აქაც ჩქარა იჩინა თავი მუშათა წინააღმდეგ გალაშქრების სიმპტომებმა. 1908 წლის თებერვალში გამოუცხადეს მუშებს, ეხლა საჭირო აღარა ხართ სამუშაოებს დროებით ვკეტავთ, და მიბრძანდითო. ეს იყო ერთგვარი ხრიკი, მათ უნდოდათ ძველი მუშები აქეთ იქით გაეფანტათ და ახლები მიეღოთ სამუშევარზე და, რასაკვირველია, თავის სასურველ პირობებში. მაგრამ მუშებმა დროზე გაუგეს და საჭირო ზომები მიიღეს: აირჩიეს კაცები, დატოვეს დარაჯათ, რომ ახლები არ დაეყენებინათ სამუშევარზე. მუშებმა მათ მხარი დაუჭირეს, ხაზეინებმა ახალი მუშები ვერ იშოვეს და იძულებული გახდენ დამორჩილებოდენ; მაგრამ ეხლა სხვა მხრიდან დაუწყეს ციხეს აღება, მოინდომეს შიგნიდან აეფეთქებიათ, გაიჩინეს თვით მუშებში ციხის შიგნიდან გამტეხნი, ამხანაგების მოღალატენი, მათი ყელის გამომჭრელნი. ამ მხრით ნოქრებმა ისახელეს თავი. აითვალწუნეს მუშები, ჩამომოაგდეს მათ შორის შური და მტრობა და საქმე გაჩარხეს.

ამ რიგათ მიიყვანეს საქმე აკორდამდი. ზოგმა მუშებმა აკორდათ აიღეს სამუშაო, ზოგმა თვით დაიქირავა ფორუდის მაგიერ მუშები და საზიზღარ ექსპლოატატორობას მიყო ხელი. აი მათი სახელი და გვარები: სარდიონ ღულუნიშვილი, ლადია სხირტლაძე, ლავრენტი მერმანიშვილი, ძმები დიმიტრი და იაკობ ბოჭორიშვილები, სტეფანე კასარენკო, ამბაკო კირკიტაძე, ვასილ ჩხიკვაძე, სილიონ ფარქოსაძე.

ეს ვაჟბატონები არ დაკმაყოფილდენ რვა-ცხრა აბაზით დღეში. მოკიდეს ხელი—ზოგმა აკორდს და ზოგმა პირდაპირ პოდრიადჩიკობას და ცდილობენ მათი ამხანაგების ნაოფლარით გამდიდრდენ, ჯიბე გაისქელონ. მაგრამ არც მათ ეყრებათ ხეირი, ფასებს მათაც უკლებენ, რადგან სხვები უფრო ნაკლებში ცდილობენ სამუშაოს აღებას და ვინ იცის კიდევ რამდენჯერ დაუკლებენ და როცა სამ აბაზ ნახევარზე დავა მათი სამიოთხი მანეთი, მაშინ იგინიც კი მიხვდებიან თუ რა ქნეს, მარა გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

აკე—ლი

რედაქტორ-გამომც. ე. არველაძე

# განცხადება

### ქ-ნ სოფიო გეგეშიძისას.

ვინაიდან თქვენ ჩემს შესახებ ავრცელებთ სხვადასხვა ჭორებს და ათასნაირ ცილს მწამებთ, რის დასამტკიცებლათ დ—ს პირით გთხოვდი გამომყოლოდით სამედიატორო სასამართლოში და თქვენ რაღაც მიზეზების გამო არ ისურვეთ, იძულებული ვარ ხელმეორეთ გთხოვოთ გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში, რომლის პირუთვნელი მსჯავრი აღადგენს ჩვენ შორის სიმართლეს. ჩემის მხრით მედიატორეებათ ვასახელებ: ს. რ—ძეს და ბ. ბ—ძეს. ვადას გაძლევთ 5 დღეს დღიდან გამოცხადებისა.

ოქროპირ გვენცაძე.


# ფ. ქალ. თვითმართველობა ამით აუწყებს,

რომ 7 მარტს, დღით 12 საათზე სახალხო სახლის სადგომში დანიშნულია თანახმათ 1906 წლის 15 ნოემბრის კანონისა, თფილისის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა (პრიკაზჩიკების) კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს თავიანთ შორის წარმომადგენელი შერეულ კომისიაში, რომლის მიზანია გამომუშავება სავალდებულო დადგენილებათა შესახებ დასახელებულ დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმათაგან. ლურ დასვენების უზრუნველ ყოფისა.

კრებაზე დასწრების უფლება ეძლევათ სრულ წლოვან მოსამსახურეთ (პრიკაზჩიკებს), თითოს თითეულ სავაჭრო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეული იქნება, როგორც წარმოდგენილი, იმავე დაწესებულების სრული წლოვან მოსამსახურეკრების მონაწილენი ვალდებულნი არიან წარუდგინონ შესვლისას მისი ამრჩევლების მიერ ხელმოწერილი რწმუნების ქაღალდი კრებაზე მონაწილეობის მიღება ეძლევათ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების «პრიკაზჩიკებს», რომელთაც 1909 წელს დაევალათ სამრეწველო გადასახადის გაღება. (3—3)